



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება: ბ18. 182602716

თარიღი: 27/01/2026

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, „ე-ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში-სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

1. რამაზი ბუდალაშვილი - მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (ფუნქციები: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისა და განხორციელების კოორდინაციის პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან);
2. სამირ ხიალოვი - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში);
3. შალვა გურულიშვილი - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისა და განხორციელების კოორდინაციის პროცესის ხელშეწყობა);
4. ფუად მირზოევი - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისა და განხორციელების კოორდინაციის პროცესის ხელშეწყობა);
5. ზურაბი მჭედლიშვილი - ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);
6. ფიქრია ქარუმიძე - საფინანსო - საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა);
7. მათე მათიაშვილი - ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: სოფლის მხარდაჭერის პროექტის განხორციელების პროცესში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება);
8. შოთა სახვაძე - წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საორგანიზაციო საკითხების სამსახურის წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები:

ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და დასახლების საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით.)

9. სოფიკო ავალიანი - წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის);

10. მაკა შერემაშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა).

მუხლი 2.

სამუშაო ჯგუფმა სისტემატურად უზრუნველყოს მერის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე.

მუხლი 3.

ბრძანების გაცნობა სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისთვის დაევალოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

მუხლი 4.

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

რამაზი ბუდალაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

